№ 27 თებერვალი 5, კვირა 1889 თებერვალი 5, კვირა № 27

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	ფან.	ლ.	თვე	ფან.	ლ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

1877—1889 სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიგესართოთ: თბილისი რედაქციას ფერეიდანის ქუჩა, მასტაბოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავადაზნაურო ბანკის სახლებში საამბავოს ეზოზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

ტფილისის ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი საყოველთაოდ აცხადებს, რომ გვამს განსვენებულის **გრიგოლ მიხეილ ტრიელის ძის ლორის-მელიქოვისას** ჩამოასვენებენ ტფილისს, ამიერ კავკასიის რკინის გზის საგანგებო მატარებელით, სამშაბათს, 7 თებერვალს, დილის 9 საათზე.

სამგლოვიარო პროცესია რკინის გზის სადგურიდგან განქის ტაძრამდე შემდეგის გზით გაიყვანს: ბულვარსედ, ელისაბეტის ქუჩის ერთს ნაწილს, ბაღისას, მიხეილისას, მიხეილის ხიდზედ, ძველთოვის ქუჩაზედ და ვანქისაზე.

ვსთხოვთ ბ-ნთ დეპუტატთ სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, მმართველობათა და საზოგადოებათა, რომელთაც მინდობილი აქვსთ პატივი სცენ განსვენებულს გრაფს და ეგირეგვინი მოიტანონ, მობრძანდნენ ეგირეგვინითურთ სამშაბათს, დილის 9 საათზედ, რკინის გზის სადგურზე.

რკინის გზის სადგურზე ნება აქვსთ დაესწრნენ განსვენებულის ნათესავთა, სამდეგილოებას, სამსედრო და სამოქალაქო წოდების მოსელეთ, ტფილისის ქალაქის საბჭოს მოსახნთ, დეპუტაციათა წევრებს და მწერლობის წარმომადგენელთ.

(2—1)

ქართული თეატრი
სამშაბათს, 7 თებერვალს
ბენეფისი
ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:
I
ბედნიერი დღე
კომედია 3 მოქმედ.
II
პირელი და მეორე მოქმედება კომედ.
„ხანუმა“
მონაწილეობას მიიღებენ ქ ნნ გაბუნია-ცაგარელისა, სოფროფისა, გაბუნია II-რე, ჩერქეზიშვილისა და სხვ. ბ-ნნი ალაშმე, ყიფიანი, წულუკიძე, გომერდიელი და სხვანი
III
დიეერტისმენტი
ნ. გაბუნია იმღერებს თ. გრ. ორბელიანის ლექსს: „ბულბულის მახეები“; გ. ალაშმე—კუბლეტებს; აწყურელი წაიკითხავს სტენებს.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 4 თებერვალი

ერთი არა-სასიამოვნო თვისება დაეკვება აქაურს სომხის ლიტერატურას და სომხის ლიტერატორებსა, თუ ყველას არა, უფროს-ერთს მაინცა. საცა-კი შემთხვევა ეძლევთ ქართველი ახსენონ, ისე ვერ მოურჩებიან, რომ ქართველი და ქართველობა არ გაჭინულნონ ცოტად თუ ბევრად. დვთის წინაშე უნდა ითქვას, რომ არც ჩვენ, ქართველები, ვაკლებთ რასმე სომხებს და ჩვენც ხელიდამ არ გუშვებთ შემთხვევას ასე თუ ისე ავად არ ვახსენოთ. ხოლო ჩვენდა გასამართლებლად ესეც უნდა ითქვას, რომ ჩვენ ქართველები ავად ვიხსენებენთ ხოლმე მარტო იმ ჯურის სომხებს, რომელნიც წურბელებსავით მოჭიდებიან აქაურობას, სოფლის ქვეყნას და რომელთაც ჭიკცხვენ და ავად იხსენებენ თითონ გონიერნი და პატიოსანნი სომეხნი. ვერც ჩვენს ლიტერატურაში, ვერც ჩვენს საზოგადოებაში ერთს მაგალითსაც ვერ გვინვენებენ, რომ ქართველი ავად იხსენიებდეს მთელს სომხობასა, მის ინტელიგენციას, რომელზედაც დამყარებული აქვს სომხობას მთელი თავისი სამართლიანი სასოება და რომელიც ხსენებულ ჯურის სომხების წრეს გარედან ჭდგას თავის სასახელოდ და თავის მოძმეთა ნუგეშად. ჩვენში ჩვენგან მთელი სომხობა, როგორც ერი, თავის ადგილში არც გაგითხუნავს, არც გაგიცხუცა და არც ავად ხსენებულა. სულელობაც იქნებოდა ეს ჩვენ მიერ, იმიტომ რომ ქვეყანაზედ არ მოიპოვება ისისთანა ერი, რომ ავთან კარგიც არ იყოს მის შორის. პირ-იქით, არა ერთი და ორი მაგალითი უთქვიალა, რომ ყოველს კარგს სომხისას პატივის - ცემით დაჭვედრია ქართველობა და მისი ინტელიგენცია. ამის საბუთს ითვლიან როგორც ჩვენს ლიტერატურაში, ისეც ცხოვრებაში.

სამწუხაროდ ჩვენდა, ესე არ იქცევიან აქაური სომხის ლიტერატორები. ვიმეორებთ, ყველაზედ ამას ვერ ვიტყვიან და უფროს-ერთი-კი სწორედ უკუდმართად იქცევა ყოველს ამისთანა შემთხვევაში. ჩვენ ამის დასამტკიცებლად მორს არ წავალთ. ამ იანვრის თთვიდამ დაიწყო გამოსვლა ახალმა სომხურმა ჟურნალმა, რომელსაც „მურჯი“ ჰქვია. ამ ჟურნალში დაბეჭდილია ბიოგრაფია პატივცემულ სომხის დრამატურგისა ბ-ნ სუნდუკიანცისა. ამ ბიოგრაფიის ავტორი ბ-ნი ჩიმიშიანცი ძალიან გაუფიცხებია ხსენებულ თავსებას სომხის ლიტერატორებისას და ამ სიფიცხეს იქამდე გაუთამამებია, რომ შემდეგის თქმა უნებებია:

„ჰეპომ“ *) იმოდენად გაიოქვა სახელი, რომ პირველ წარმოდგენის შემდეგ გვიდა მცირეოდენი ხანი და ქართველთა ინტელიგენციის უმაწვილ - კაცობამ, მოისურვა რა გამოცოცლება ქართულის თეატრისა, რომელმაც დიდი ხანია დალია სული, ამ პიესით აღადგინა მკვდრეთით უკვე მიცვალებული ქართული სცენა“.

საკვირველია ეს სასწაულთ-მოქმედება ხსენებულ პიესისა და თუ მართლა ეკვრა, ჩვენ მადლობის თქმის მეი ი არა გვმართებს - რა. ხოლო მეტი არ იქნება ეს ვიკითხოთ: თუ ეგ პიესა ესეთი უკვდავების წყაროდ გაუხდა ქართულს სცენას და მკვდრეთით ადადგინა ქართული თეატრი, სომხებს რაზედ შემოსწყრა, რომ მის ხელში ცოცხალი სომხური სცენა ეგრე უდროოდ მოკვდა და დღესაც მკვდარია? მკვდარია ვამბობთ, იმიტომ-რომ მუდმივი სცენა ჭქონდთ და დღეს ადარა აქვთ სომხებსა და ხამუშ-ხამუშად წარმოდგენანი სცენის მოკვარეთაგან ხომ ამ შემოხვევაში ანგარიშში მოსატანი არ არიან. როგორ მოხდა ეს, რომ „ჰეპომ“ მკვდარი ქართული გაცოცხლა და ცოცხალს სომხურსკი იმოდენაც ვერ უშველა, რომ არ მომკვდარიყო. აქ ან ის უნდა ვიგულოთ, რომ რაც ქართველისათვის მაცოცხლებელია, ის სომხისათვის მომაკვდინებელია, ან ის, რომ ბ-ნ ჩიმიშიანცის აზრი თავიდამ ფეხამდე ტყუილია. ქართველებიც და სომხებიც დაგვეთანხმებიან, რომ უკანასკნელი საგულვებელი უფრო ჭკუაზედ ახლია. ბ-ნი ჩიმიშიანცი ტყუილად გაუწირვეულებია წურბელას ქართულის გაკინწვლისას და მოუფიქრებლად ტყვედ მისცემია თავის გაჯანჯღლებულს გულის-ნადებსა. ბ-ნი ჩიმიშიანცი შემდეგ ამბობს:

„ჰეპო“ იმოდენად გაეჭრა ხელი, რომ დღესაც-კი მოიპოვება ამისთანა ქართველი, რომელსაც ძნელად დაადგრეს, რომ „ჰეპო“ სომხურს ენაზეა დაწერილი და სომხის პოეტის გენიოსობით შემქმნელია“.

არ ვიცით, ბ-ნს ჩიმიშიანცს სიიდამ აჭკვიატებია ამისთანა უცნაური აზრი. ჩვენ ვდაუშომშმენებთ ატ-ბევებულს გულს ბ-ნს ჩიმიშიანცს და დაგვარწმუნებთ, რომ მაგისთანა ქართველს მარტო თავის საკუთარს ფანტაზიაში თუ იპოვის. თუნდ რომ ეგრეც იყოს, რა ცუდი უქმნია ქართველს, რომ სომხის კარგი შეუთვისტომებია, საკუთარ მვილად მიუწონევია. ეგ მარტო ჩვენს სიტყვას ამტკიცებს, რომ ყოველი-ვე კარგი სომხისა ჩვენში ჭპოულობს პატივისცემას და სიყვარულს იმოდენად, რომ თავისას და სომხისას ერთშანერეთშიაც ადარ არჩევს. თუ ესეა, ბ-ნი ჩიმიშიანცივე საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართველი არ არის დამშეუდგეული თავის გვარ-ტომობის ვიწრო წრეში, არამედ სხვა ერის პატივისცემაც იცის და გულ-გაშლილად ეკიდება ყოველს სხვა გვარ-ტომსა. ესეთი თვისება საქებურია და არა საწუნარი. თუმცა ბ-ნი ჩიმიშიანცი ამ შემთხვევაში ქართველის საქებელ საბუთს გვაძლევს, მაგრამ არ ესმის, რომ ეს საბუთი მართლა ქების მომასწავებელია. იგი ამას ჭხმარობს წუ-

*) „ჰეპო“ ბ-ნ სუნდუკიანცის პიესაა.

ფელეტონი

ქართველთა ზოგის

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ტფილისს ჟურნალ-გაზეთებს, იმან კარგად იცის, რომ სავანი ყოველ დღიურის წერისა არის უფრო ქალაქი, ამისი ავი და კარგი, უმეტეს ნაწილად ქალაქელთა გასართობები, ამბავი თეატრისა, ცირკისა, ფაიკითხვათ კვირაში ერთხელ ანგარიშს ქალაქის თვითმმართველობის მესხვებ, ხან ისიც არ არის ხოლმე, და ათასში ერთხელ შეგხვდებათ ანგარიში „სამეურნეო საზოგადოების“ თათბირისა. მართალია, ამ ნაწერებში ძალიან მცირე ადგილი უპირავს განხილვას იმ საგნებისას, რომელიც უფრო საჭიროა ქალაქის ცხოვრებისათვის და შეადგენს ამ ძალვლს, მაგრამ მაინც სულ ქალაქი და ქალაქი, სულ ტარტაკოვი და მისი ძლეა-მოსილი გამარჯვება ქალების გულში, სხვების შური ამის გამო, სულ მედვედეი, სულ სიმღერა, სულ ცირკის დაეიდარაბა და „კონკის“ ეაი-ეგალეხი. მეტი თითქმის არაფერი, თითქო მთელის კავკასიის გულსა და სულს შეადგენდეს ქალაქის ერთიბეწო და ხმირად უაზრო გასართობები, თითქო მთელი ცხოვრება ამოდენა ქვეყნისა აშენებული იყოს მასზედ, თუ როგორ გიიელის ტფილისის ქუჩებზე ჩვენი დანჯღრეული „კონკა“, როგორ შეასრულებს თავისს „პარტიას“ ტარტაკოვი თუ მედვედეეი, როგორ „კალპაკს“ დაიხურავს მაქსი, თუ სხვა ვინმე კლოუნი.

ამავე დროს სრულებით მიეწყებული და მიგდებულია ჩვენი სოფელი, რომელიცა ჭკვებავს ქალაქებსა, შეადგენს მართალს ძალას ჩვენის ქვეყნისას და აძლევს კავკასიას იმ ფერს და იმ თვალის ჩინს, რომელსაც ასეთი ანდამატური მიმზიდველობა აქვს უცხოელთათვის. აქა-იქ კანტი-კუნტად თუ შეგხვდებათ, ისიც რაიმე უმნიშვნელო, ამბავი სოფლიდამ, თორემ სხვაფრივ თითქმის გაჩუმებულია ჩვენი მწერლობა, არა ვიცით-რა არც სოფლის საჭიროებისა, არც იმისი, თუ რასა ცოდვილობს სოფელი და რას აგვარებს, რომ დაიხსნას თავი სხვა-და-სხვა გაჭირვებისაგან. არ ვიცით წყურვილი მისის სულისა, არ გვეკმის მისი აზრი, მისი ზნე-ჩვეულება, მისნი მიდრეკილებანი. არც ხალისი გვაქვს ყველა ამის ცოდნისა, შეტყობისა. არ გვეფიქრება იმაზე, თუ რა გორო უნდა მოეწყოს სოფლის საზოგადოება, რომ უფრო ადვილად გაუძღვეს თავისს მოვალეობას და უფრო სანატრელად შეისრულოს თავისი გულის წადილი. არ გვენაღვლება არც წოდებათა განწყობილება, არც სოფლის სამართალი, არც მოხელეობა სოფლისა, არც ის, თუ რა გვარს დამოკიდებულებაშია სოფელი უმაღლეს მოხელეობასთან.

ერთის სიტყვით, სოფელი თავისთვის არის და ქალაქი თავისთვის. იმის მეტი არა გვენაღვლება-რა, რომ სოფელმა მოგვართვას საქმელ-სასმელი, გვენაღველოს შაშა და რაც შეიძლება ყოველივე ესე იეფად. სხვა ჩვენ არა გვეფიქრება-რა, სხვაფრივ სოფელმა ფიდდა თავში ქვა იხეთქოს, ოღონდ-კი ქალაქს იმ სურსათთან არ მოაკლდეს არც თეატრი, არც ოპერა, არც ცირკი, არც კლუბები და, ჰა, ჯანი გავარდეს, არც ქალაქის საბჭო, სამეურნეო ბაასი გინდ თთვეში ერთხელ.

***

ასეთი დამცირება სოფლისა მარტო მაშინ შეიძლება, როდესაც ქალაქი თავისს თავსაც უძღება, სოფლის წარმატებასაც თითონა კისრულობს და ძალაც შესწევს ამ სურვილს, როდესაც ქვეყნის მოხელეობას თავი აქვს მოყრილი ქალაქში და ერთმანეთის ცოდნა-გამოცდილებით, რჩეეთია და თათბირით მიჰყავთ საქმე როგორც ქალაქისა, აგრეთვე სოფლისაც. ჩვენი საცოდავი და უბადრუკი ქალაქები-კი ისეთს დღეში არიან, რომ თავიანთს დარდსაც ვერ გასძღოლიან. ამავე დროს მოხელეებს ხშირად საკუთარის ცხვირისაც არა გაეგებათ-რა და, რასაკვირველია, სრულებით უეცნი არიან სოფლის ეითარებისა. ამიტომაც არის, რომ სოფელი მინებებულია ღვთის ანაბარად და ქალაქს არა აქეს ძალა თავისის ფეხით იაროს ქვეყნის მოედანზე, გაიე

ნის დასაფუძნებლად და ქართველთა გასაკვირვებლად—რად იშვილეს სომხური ქართველებმა. აკი მოგახსენეთ, ჩვენ არ ვიცით, ქართველებმა იშვილეს თუ არა და თუნდაც ეშვილათ, ვის რა დაუკლეს ამითა? აქ ცუდი რა არის? გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის, რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს და აქ გვარტომობის ჩაჩხირება ზღუის უდიდნობას მოასწავებს და სხვას არა-რას. ხელოვნებასა და ერთობ გონების ნაწარმოებსა გვარ-ტომობა არა აქვს. ერთიაკი და მეორეც მთელის კაცობრიობისაა და ამ აზრს ვერ მისწვდენია დაქვეითებული ავტორი ბ-ნ სუნდუკიანცის ბიოგრაფიისა.

ბ-ნი ჩიმიშკიანცი, გაბერვეულებული ინ თვისებისაგან რომ ქართველს ავად ხსენება უნდაო, სწამებს, ვითომც ჩვენა ვცდილობდეთ ამოვფხრათ კაცის ხსოვნისაგან, რომ „შუპო“ სომხური ენაზეა დაწერილი, „სომხის პოეტის გენიოსობით“ შექმნილი.

ამის დასამტკიცებლადაო, ამბობს იგი, შესაძლოა მოვიყვანოთ შემდეგი გარემოებანი: პირველი, თავის დღეში, როცა „ᲨᲣᲞᲝ“ ქართულად წარმოუდგენია, ავიზაზედ არა წერაზელა, რომ თარგმანი სომხურიდამ; მეორე გარემოება, შეურცხმოოფელი სომეხთა ერის თავ-მოყვარეობისა, გარემოება, რომელიც საზოგადო მაგალითია ქართველის ბაქიაობისა, იმაში მდგომარეობს, რომ ქართულს სცენაზედ თითონ „შუპოს“, ამ ზოგად გმირს სომხის „პაკარნისას“, ქართველ აზნაურად მოართვენ ხოლმე ბაშინ, როდესაც ხალხის მეგალეფვანი სომხის ვაჭარი-კი, მდიდარი არეუინა ფოუოდ სასაცილო სომხის ვაჭრად გამოჰყავთ. ამ გარემოებათა მიზეზით რამდენსამე წელიწადს შემდეგ ვინ იცის მოიბოვება-ლა თუნდ ერთი ინსანსა ქართველი მოელს საქართველოში, რომელსაც დაუჯერებთ, რომ „ᲨᲣᲞᲝ“ სომხურს ენაზეა დაწერილი და არა ქართულზედ.

გაგიგონინათ სადმე ან ამისთანა ჩვენი და ან ამისთანა საბუთები!.. არა, როგორ მოგწონთ ეგ შეურაცხყოფა სომეხთა ერის თავ-მოყვარეობისა მით, რომ ქალაქელი ენტელ ქართველებმა ვითომ-და გაზნაურშვილეს და სომეხი არუთინა გაასომხეს. გაგიგონიათ სადმე ესეთი თავ-მოყვარეობა, მერე ამ რიგად გაუპატიურებული!

ან სად უნახავს და როდის ბ-ნს ჩიმიშკიანცს, რომ წარმოდგენის დროს „ᲨᲣᲞᲝ“ ქართველ აზნაურშვილად მოერთგოთ და გადაეკეთებინოთ? ჩვენ ბევრჯელ დავსწრეთ ბივართ „ᲨᲣᲞᲝს“ წარმოდგენას და ეს არც ერთხელ არ შეგვინიშნავს. ან რას ეგვაბეზოდა, ქალაქელი კინტო მეთვეზე, მებადური ქართველ აზნაურშვილად მოერთულ! თითონ ბ-ნ ჩიმიშკიანცს არა ერთხელ უთაბაშნია „ᲨᲣᲞᲝ“ ქართულ სცენაზედ და ნუ თუ ქართველ აზნაურშვილად ირთვებოდა? ტუუილი იქნება და ასე მოგლე ფეხებიანნი!

ამაებისთანა ნაზუქებს თავი დავანებოთ. ჩვენ ბ-ნ ჩიმიშკიანცის ნაწერს სხვა მხრით მივაქციეთ ყურადღება და ტუუილს ამბობს, თუ მართალს ბ-ნი ჩიმიშკიანცი, ეს, არამცა მუ გარჩევისა, უურადღების ღირსიც არ არის. არც იმის მართლით მოგვიმტკიცა-რა, არც იმის ტუუილით დაგვაკვლდეა. ტუუილიცა და მართალიც ამ შემთხვევაში მისი საკუთარი საქმეა. ჩვენ გვინდოდა გამოგვერკვია მარტო მიმართულება და თვალთა ხედვის ავ-კარგიანობა ზოგიერთა სომეხთ ლიტერატორებისა, რომელთაც ცოდვად მიაჩნიათ ქართველი გაუკინწლავად ახსენონ. ხომ ჭნაბეთ რა საბუთებით მოგვესია ქართველებს და რა ჩვენ-ლით ბ-ნი ჩიმიშკიანცი.

ახლა ვიკითხოთ, ამ საბუთებით და ჩვენ-ლით რასა გვწამებს ბ-ნი ჩიმიშკიანცი? იმას, რომ „სომეხთ პოეტის გენიოსობით“ შექმნილს პიესას ჩვენ ვიჩვემებთ და ფდეე და დამ იმ ფიქრში ვართ, რომ ქართველებს ადარ ახსოგდეთ, რომ იგი სომხური პიესაა. როგორ მოგწონთ შიში ბ-ნ ჩიმიშკიანცისა? გაანთითონ პიესა იმდენად სახარბიელო-კია, რომ კაცმა ბის დაჩემებისათვის თავი იტკენოს. ვის რად უნდა? ფმერთმა მშვიდობაში მოახმაროს სომხობას თავისის „პოეტის გენიოსობით“ შექმნილი პიესა. დაგვიჯეროს ბ-ნმ ჩიმიშკიანცმა, რომ მაგ ბიესაზედ ხელს არავინ წაიკვეხენ და სომხებს ქვეყანაზედ არავინ შეეცილება. ნუ თუ ბ-ნს ჩიმიშკიანცს ჭკონია, რომ რაკი „ᲨᲣᲞᲝ“ «სომეხთა პოეტის გენიოსობით» შექმნილია, მართალა გენიოსური რამ არის! სხვა რომ არა იყოს-რა, ჯერ თითონ პიესის გმირი „ᲨᲣᲞᲝ“ გასინჯეთ. რა არის „ᲨᲣᲞᲝ“? ეგ ზოგადი სახე-კი არ არის «სომხის პაკარნისა», როგორც ჭკონია ბ-ნს ჩიმიშკიანცს, ეგ ერთი ბეკასს ფეხებზედ შეყენებული ოორფეზია, განგებ გაბერილი და გატენილი მადალ ფარდების ფარაზებით. სხვას რას ჭნედავთ «ᲨᲣᲞᲝში»? ვერ ვიტყვით, რომ პიესაში ზოგიერთი მართალი სახეც არ იყოს, ცოცხლად გამოხატული, და თუ «ᲨᲣᲞᲝს» მოთმინებით ისმენენ თეატრში, ამ ზოგიერთა მართალ სახეთა წუალობით მოსდით. ამაზედ მეტსაც ვიტყვით: ჩვენს ქართულს რეპერტუარში, ნათარგმნთა გარდა, „ᲨᲣᲞᲝ“ ბევრს პიესას სჯობია, მაგრამ მაინც ეგ პიესა თავის თავად ბევრი არაფერია და არავის არ მოჰკვრის არც შურს, არც სიხარბეს დაჩემებისას. კიდეგ დავუფიცებთ ბ-ნს ჩიმიშკიანცს, რომ მისი შიში ტუუილი მოლანდებაა: მარხვას არავინ გასტეტს დამთვრისა და ქურდობას არავინა იქმს ხბოსთვისა.

რა უნდა ვსთქვათ უოველ ამის გამგონთა სომხურ ახალ ქურნალზედ? ჩვენა ვწუხვართ და ვგვონია უოველი გონიერი სომეხიც შეწუხდება, რომ ახალმა სომხურმა ქურნალმა პირველ ხმის ამოდებაზედვე საზჩრიოდ დაინახა მიესიოს ქართველებს და ასეთის სასაცილო საბუთებით უკიქინოს. ბ-ნ სუნდუკიანის ბიოგრაფიაში რა მოსატანი იყო. ქართველებმა როგორ ჭთარგმნეს „ᲨᲣᲞᲝ“ და როგორ მოჭრთეს წარმოდგენის დროს გმირი პიესისა, ან სწერენ თუ არა ქართველები აფიშაზედ, რომ „ᲨᲣᲞᲝ“ სომხურიდამ არის ნათარგმნი? ამგარაა, აქ აშლილს სადერდელს ქართველების ავად ხსენებისას თავბრუ დაესხამს მწერალისათვის, თორემ უოველი ეს რა შუაშია ბ-ნ სუნდუკიანცის ბიოგრაფიაში, მერე ეგრე სასაცილოდ აკონკეტუული? ბ-ნ ჩიმიშკიანცს კიდეგ ეშატიება ამისთანა საქციელი, იმიტომ-რომ ამისი ენი ჭმონია და ენს ყველა კაცთანავე ყოველ სოფლელს უკარგეს რწმენას სწავლისას, ამცირებს ღირსებას სკოლისას და ამჯობინებენებს ისევ იმ უმეცრებას, რომელსაც ზნეობრივი სიკეთე მაინცა სწამს, გულის სიფაქიზეს მაინც ხელ-უხლებლად იცავს. შუათანა ინტელიგენტეკი, რომელსაც არც ის შეუძლიან, რომ თავი დასდოს ქვეყნის სამსახურისთვის და ამავე დროს იქამდე გამჯდარიეკა აქეს წყურეილი უმაღლეს აზრების აღება-მიცემობისა, რომ თუ ამ წყურეილს არ მოიკლავს, გაუმწარდება სიცოცხლე,—ჰო, რასაკვირველია, რომ ეს ინტელიგენტი ეძებდეს იმისთანა საზოგადოებას, რომელიც უფრო შეჰშვენის იმისს განვითარებას და სადაც უფრო თავისუფლად შესძლებს სუნთქვას. ამისთანა საზოგადოებას თავი მოუყრია დღეს ქალაქებში და ასეთი ინტელიგენტეკ გაეშურება ქალაქებისაკენ.

ამ სახით, ჩვენი სოფელი სდგას თითქმის სრულებით გარეშე იმ მაღლიანის ზედ-მოქმედებისა, რომელიც აქეს საზოგადოებათა ცხოვრებაზე ეხლანდელს განათლებას კაცობრიობისას. ჩვენი სოფელი ადგია ვერ დაიმორჩილებს ხოლმე. რედაქცია-კი, როგორც კრებული მოდგაწეთა, ამისთანაებში უნდა ჭფრთხილობდეს, რადგანაც ეს ერთი იმისთანა საგანია, რომელის გამოც ნათქვამი სიტყვა მიმართულების მანიშნებელია და თუ ამ გვარს მიმართულებას იჩემებს ეს ახალი სომხური ქურნალი, გზა დაგვიდლოცნია: ბევრს ეგ ერთიც მოემატოს. როგორც იქნება გავუძლებთ.

ახალი ამბავი

* გუშინ-წინ, 3 იანვარს, ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ ჩვენის ნიკიერის არტისტის მ. მ. საფარაოვის ბენეფისში წარმოადგინა „ისპანიელი აზნაური“. ეს პიესა პირველად ითამაშეს ჩვენს სცენაზე ხალი იმდენი არ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო ამისთანა არტისტ-ქალის ბენეფისში, ლოჟები და პირველი რიგი საკარძელისა ცალიერი იყო. არ ვიცით, რითი აიხსნება, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ამ ხელად ჯეროვანი პატივისცემა ვერ გაუწია საყვარელს არტისტ-ქალს.

პიესა თავისდა თავად მაგდენი არაფერია და ენამ პიესისამ ხომ სულ ერთიანად ძირს დასცა ეს ფარსის მსგავსი კომედია. საკვირველია, რატომ ჩვენი დრამატიული საზოგადოება ქართულს ენას არ აქცევს ყურადღებას. ზოგიერთს არტისტებს, მაგალითებრ, ისეთი სიტყვები ჭქონდათ სალაპარაკო, რომლის ვერც თავი გაიგო ხალხმა და ვერც ბოლო. სცენაზედ ისმოდა „ხნიერი“ ღვინოო, შიგა და შიგ რუსულს კუპლეტებსა ჭმღეროდნენ, თითქო იმისი ქართულად გადათარგმნა მართლაცა-და ძალიან ძნელი და გასაჭირი ყოფილიყოს. არტისტებს კარგად არ დაესწავლათ როლები და არც საკვირველია, რადგან იმ ენას, რა ენითაც პიესა იყო ნათარგმნი, ერთს თთვეში ვერ გაიზეპირებს ადამიანი. ერთის სიტყვით, ქართულს დრამატიულს თეატრში გუშინ-წინ ქართული ენა-კი არ ისმოდა, უფრო რუსული იყო. დრამატიული საზოგადოება ამ მხრივ ძალიან, მეტის-მეტად გულ-ცივად ეპყრობა თავისს მოვალეობას და ეს გარემოება არა ერთხელ შეუნიშნაეთ კიდეც თუ მწერლობასა და თუ სხვებს.

ეოდეეელი ჩვეულებრივ სიამოვნებით მოისმინა საზოგადოებამ. მობენეფისეს მხოლოდ ერთი დაუნის გვირგვინი მიართვეს.

*** კახეთიდამ მოვვიდა შემდეგი წერილი: „რადგანაც ენანახების წამლობა ჩვენში ახალი საქმეა და კახეთის ენანახების პატრონებს თითოეულად არა აქეთ ცოდნა არც წამლობისა, არც იმისი, თუ საიდგან და როგორ დაიბარონ საჭირო წამლები და იარაღები. ამიტომ შესდგა ქ. თელავს წრე ზოგიერთთაგან, რომელ-თაც გამართეს ხელის-მოწერა ენანახების წამლობის მსურველთა შორის, რომ მათ განაცხადონ ვის რამდენი ღლის ენანახის წამლობა ჰსურს და რამდენი აპარატი ესაჭიროება. ნაანგარიშევია, რომ ორის ღლის ენანახის მილდიუსაგან წამლობას მოუნდება 5—7 მანეთამდე და ათას ღლიურზე ერთი აპარატი, ღირებული 30 მან. ამის კეალობაზე მსურველნი მოვალენი არიან ფული წარმოადგინონ 22 თებერვლამდე. ფულის მისაღებად დანიშნულნი არიან: მარშალი თ. რ. ვახვახოვი, მაზრის უფროსი ნ. ხოლაშვილი, მომრიგებელი შუა-კაცი თ. ს. ვეზირიშვილი, მღვდელი ხელაშვილი. ხელის-მოწერითა საერთო კრება დანიშნულია 21 თებერვალს ქ. თელავს.

„ამ კრებაზე წაკითხულ იქნება მოხსენებითი ვაზის სენის გავრცელების თაობაზე და ენანახების წამლობის ეარგანონაზე. როდესაც წამლები და აპარატები მოუეთ, მეორე კრება იქნება დანიშნული, რათა დაბოლოებითი ანგარიში ჩაჰბარდეთ ხელის მომწერელთ და იქვე აპარატების ხმარება და მომართულება შეინწავლონ და აგრეთვე წამლების შეზავებაც. გვაქვს იმედი ბევრნი გამოჩნდებიან, რომელნაც მოისურვებენ თავიანთის ენანახების წამლობას. მხოლოდ საჭიროა საქმის დაჩქარება, რომ წამლები და აპარატები თავის დროზე მოუფიდეთ და დაგვიანებით საქმე არ წაახდინონ“.

*** ოზურგეთი: წელს გურიაში, ძალიან ცოტა ნალი ამოსულა. ეს ამბავი ბევრ ადგილებში ავ-ნიშანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სხვაგან, არა ჩვეულებრივი ზამთარი იყო. ნათლის-ღების მეორე დღეს მოვიდა დიდი თოვლი (აღლ-ზე მეტი) და ამას კიდევ ორჯელ-სამჯერ დაემატა. ამასთან დრო-გამოშვებით ყინვებიც იყო (7°—8°). ამ გვარს ტაროსებს, რასაკვირველია, სიძვირეც თან გამოჰყვა ხორაგისა, შეშისა და სხვ. ფრანგ შეშა, რომელიც აქ ფასობს 30—80 კ., იყიდებოდა 1 მან. 50 კაპ. ამ თვეის მიწურულში წვიმებმა თოვლი სრულებით გააქრო.

*** ქ. **სიღნაღი**: ღმერთო ჩემო, რა ნაირად არ მივეგებეთ ახალს წელიწადს! ჩურჩხელითო, გოზინაყით, წითელ-წითელ ვაშლებით და სხვა. ჩვენი ნატვრა ის იყო, რომ ჩვენ რო ესე ტკბილად ეიმასპინძლდებოდით ახალს წელს, იგიც ტკბილად მოგვეცეოდა, მაგრამ მოესტყუვდით. დადგა თუ არა ახალი წელი, ისე შემოგვიტია, რომ ყველას ცახცახი დაგვაწყებინა; ბევრი სახლის სახურავი ჩამოგვიმტვრია. თოვლმა გაგვიძვირა საშინლად შეშა, ერთ პატარა ეირის საპალნენში გვთხოვდნენ 70, 80 კაპიკს, 90-საც ისიც თუ-კი იშოვებოდა. საყენი შეშა იყიდებოდა არა ნაკლებ 28 მან. შეიკრა გზები. მაზრებიდგან ველარა შემოიტანენ.რა, რის გამოც გაძვირდა ყოველი სანოვაგე.

სიღნაღი ვისაც უნახავს ადრე, ეხლა ისეთი აღარ არის. ეხლა ემსგავსება მორთულს პატარძალს. ნამეტნავად უმთავრესი ქუჩა ამშვენებს აქაურობას. დანარჩენი ქუჩები? დანარჩენმა ქუჩებმა თქვენი ჭირი წაიღოს. აიღეთ თუ გინდ ის ქუჩა, სადაც სამზრო სამმართველოა მოთავსებული. ღმერთო, რა არაა იმ ქუჩაზე, ათას ნაირ უწმინდურებას შეჰხვდება კაცი იქ. ამ უწმინდურებას ჯანი გაეარდეს. ამაევე ქუჩის ბოლოშია მოთავსებული ფოსტა. ჯერ ესა, რომ ცხენების ფეინის სენისაგან კაცს ვერ გაუვლია და ამასაც არა სჯერდებიან ბ-ნი წ. ოჰანეზოვი და ვ. არუთინოვი. პირველს გამოაქვს ფოსტის „ტროიკები“ და შიგ შუა გზაშია გაჩხიბულ-გამოჩხიბული; განა ერთი და ორი, ხანდახან ოთხი და ხუთი ეტლია გზაში დაყენებული. ისეა შავის ნავთისაგან გაპოხილი გზა, რომ

აბა მოისმინეთ ერთი ამბავი, რომელიც ძალიანა ჰგავს მართალსა და გვაჩვენებს, თუ სადამდის მივიდა ამ გზაზედ ჩვენი ოდესღაც უმანკო გლეხი. აი რასა გვწერს ერთი სოფელი ახალგაზდა: „თუმცა ძრიელ მემძიმებოდა რედაქციის შეწუხება, მაგრამ მწარეთ გაჭირებულმა, ობოლ ოხერიმა მოგმართეთ და გთხოვეთ გაზეთის საშუალებით შემატყობინოთ, თუ ვინ არის ობლის მომხრე და მფარველი, რომ შეეჩივლო ჩემი მწუხარება. აი საქმე რაში გახლავთ: მამაჩემს, სოფ. ზიარის საბატონო გლეხს, ილია ქიტო-შვილს, ამ თხუთმეტის წლის წინათ თქვენი ჭირი წაუღია. მე წლისა და ნახევრისა და ჩემი დაჲ ოთხის წლისა დავრჩით უპატრონოდ. ჩვენ ხელი მოგვეკიდა და თან წაგვიყვანა დედის ძმამ, ჯიმითის მცხოვრებელმა მიხა ვარაზაშვილმა. თანვე წამოიყვანა ჩვენი ფურ-კამბეჩი თაეის ზაქით. ბიძამ კარგად მოგვიარა: ჩემი დაჲ გაათხოვა შესაფერის მზითვითა და ქრთამითა მე მიმყარა 17 წლისა და შვილად ამიყვანა, რადგან თითონ უშვილო იყო. ჩემი ზაქიანი კამბეჩი ცხრა სულად იქცა მის ხელში. ამ

ადამიანს ვერ გაუელია,უეჭველად უნდა ფეხები ამოგანგლოს ნავთში, მეორეს კიდევ გამოუტანია ვეებერთელა ურმები და დაუყრია შუა გზაზე. ამ ურმებს გარდა რა გინდა, რომ გზაში არ ეყაროს: სახლის ხე-ტყე მასალა, კოკები, ჩარჩოები, კირი და სხვანი. ისეც ძლიეს ეაი-ეაგლახით დაადგართ ამ ყინვა-ყიამათებში და რაღა ამათი გზის შეღობა გვინდა, ნამეტნავად ამ ბნელა ღამეებში. რაო, ბნელი ღამეებშიო! ნუ თუ ფარნები არა აქვს სიღნაღსაო? გაკვირვებული იკითხავს მეითხველი, დიახ, ბატონებო, ამ ქუჩაზე მაზრის სამმართველოამდე სამი ფარანია, მაგრამ არა ფარნობს, ისე ანთია, რომ თვით ფარანიც არა სჩანს. სამმართველოს იქით არც ერთი ქალაქის ფარანი არ არის, მხოლოდ ერთი პატარა ფარანი უგდია ოჰანეზოვს და ჰბეჭეტავს ფოსტის სასტუმროს კარებთან, ისიც იმიტომ, რომ მომსცელთან როგორმე სასტუმროს კარებს მიაგნოს.

ღამის რაინდებიც არ გვაკლია სიღნაღელებს. სიღნაღის ხაზინადარს ი. ა. გოზალოვს მოჰპარეს დიდი სპილენძის ტასტი, 18 მან. ღირებული; იმისსავე მეზობელსაც, მ. ი., ტასტი მოჰპარეს; ი. შაელიაშვილს მოჰპარეს ფარდაგი 7 მანეთიანი. ამბობენ, დუქანიც გატეხესო. არც სხვაფრივ დაგვაყარა კეთილი ამ ახალ წლის იანვარმა. 19 თაეი დაირჩო ყველასაგან ცნობილმა და ყოველად პატიოსანმა კაცმა, წმინდა ნინოს მონასტრის იერომონაზმა ნიკოლოზმა (მიქელაძემ). საშინელი ზედ-მოქმედება იქონია ნაცნობებზე ამ პატიოსან კაცის დაკლებამ. 21 იანვრისას შეუსრულეს ამ უბედურს წესი, 22 დაასაფლავეს. იქ დამსწრე ხალხი ძლიერა სწუხდა და ყველა ტირილით ეამბორებოდა მიცვალებულის კუბოს. დიდი ამაგი და ღვაწლი მიუძღვის მონასტერზე განსვენებულს. სუფრაზე წარმოსთქვა სიტყვა და მოკლედ ჩამოსთვალა შრომა და ღვაწლი ამ იერომონაზისა პატიეცემულმა დეკანოზმა მ. ს. ბეკიევმა. სიტყვა მოკლე იყო, მაგრამ ისე მოხერხებული და გრძნობით სავსე, რომ ბევრმა ველარ შეიმაგრა თავი და გადმოსცვივდა ღაპა-ღუპით ცრემლები. იმა-

---

გვარად დედის ჩემის ძმა მიწყობდა ხელს.

„მაგრამ ჩემმა საქონელმა მამიჩემის ძმას გიორგი ქიტოშვილსა და სოფ. ზიარის მოხელეებს მადა მოჰგვარათ და ამ სამის წლის წინად აიღეს და მოსტაცეს ჩემს დედის ძმას მიხა ვარაზაშვილს. თუმცა მაწლობელ მოსამართლეებთან ბევრი ეიარეთ, მაგრამ ვიღრე ბ-ნს გუბერნატორს არ შევსტირეთ, ვერ გამოვიბრუნეთ ეს საქონელი, ისიც ექვსს თვეეს უკან გადაღრძვალი, დაჯანდაგებული, დაძალული. ამ მადა-გაღვიძებულებს გამოუჩნდათ მოხერხებული მომხრე და დამინაშნეს ჩემს უკითხავად აპეკუნი (მაშინ.როდესაც მე, წვერ-ულაშიანს, თითონ უნდა ამომერჩია მზრუნველი). ამ ძალად-აპეკუნმა სამართლის ძალით ჩაგვიყენა ბოქაული და გარეკა ცხრა სული საქონელი 1887 წლის სექტემბრის პირველში და იანვრის გასულამდე 1888-ს წლისა ჩახოცა თაეისს საქმეზედ. მე და ჩემი დედის ძმა-კი დაგვაყარა უზენელ-უთესველნი.ამაზედაც ბევრი თავში ქვა ვიხალეთ მოხელეებთან, მაგრამ პატრონი არ გამოგვიჩნდა, მანამ ისევ გუბერნატორს

ვე იანვარში შემთხვეეთ მოკლეს მდ. იორზე თ. ვ. მეფხანსკი. ამავე თთვეში მოკლა ჭიაურში ერთი მეღორე ტყის დარაჯმა.

არც საქონელი იყო კეთილს დღეში თებერვლამდე. დიდმა თოვლებმა ძალიან შეაწუხა შინაური საქონელი, ცხვარი, ძროხა და ღორი. ასე და ამ გვარად ჯერ იანვარმა, როგორც ჰხედავთ, ასე ტკბილად დაგვაბერა და ენახოთ შემდეგი თთვეები რაღას გვეტყე

ლი მაშინვე გულ-ხეთქებით აპოვარდა მაღრანში, ბეერი ეხვეწა მომტაცებლებს—ან ჩემი დანაშნული დამბორუნეთ, ან ჩემი მოტანილი მზითეეიო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ ყურიც არ ათხოვეს. მაგრამ დახე ამ ვაჟბატონების უბედურებას: აქ მათ ბედმა უღალატა, რადგანაც არც მოტაცებულის ქალის საქრმო გამოდგა მათზედ ნაკლები თავზედ ხელ-აღებული ვაჟკაცი. ამას ძალიან კარგად შეეგნო, რომ საჩივრებით ტყეულუბრალოდ დროს დაჰკარგავდა და აი, ერთს მშვენიერს ღამეს თავისის ძმა-ბიჭებით (ამ ვაჟბატონებმა რა იცოდნენ, რომ იმასაც ჰყოლიყო ძმა-ბიჭები) დაეხსნა თავს იმ სახლს, სადაც ის ქალი ჰყავნდათ, მილეწა კარები, ერთი ლაზათიანად დაზილა მათი ბელადი ე—შეილი, ბეერი ურტყა იმისს ბიძაშვილსაც, რომლისთვისაც ეს ქალი იყო მოტაცებული, და წაიყვანა თავისი დანაშნული და დღესაც ბედნიერად სცხოვრებენ ერთად სოფელს ნაფარეულში.

ამ დამარცხებამ იმათ გული როდი გაუტეხა. არ გასულა ამ ამბის შემდეგ სამი თთვე და აგერ წელს, 23 ამ თთვისას, ბინდისას, მოიტაცეს კიდევ ერთი ქალი კ—შეილისთვის, რომელსაც თავისის ავ-კაცურის ოინებით ბელადზედ ნაკლები პატივისცემა არ დაუმახურებია თავისს წრეში. იმ ღამეს საღღაც მიეარდნილს ენაზში ჰყოლიყოთ და გათენებისას-ღა იპოვეს პატრონებმა. ამ ამბავმა-კი ძალიან გააცარა მამასახლისი, რადგანაც, როგორც ამბობენ, ეს ქალი იმისი რაღაც ნათესავი უნდა იყოს, დაუსვა მეორე დღესვე ურემს და გააქანა თელეთისკენ ნუგეშის საძებნელად.

მეორე მუხლი მათის პროგრამისა გახლავთ ქურდობა და ყაჩაღობა. ამისი ჩამოთვლა ყოველად შეუძლებელია: ბეერი ძროხა, ცხვარი და ღორი შეიპამი იმთგან. ინდაურს, ბატსა და ქათამს ხომ ანგარიში არა აქვს. წარმოიდგინეთ, ამ სინიდისზედ ხელ-აღებულმა ხალხმა ფუტკარიც-კი არ დაინდო. გ. მ—შეილს ამ იანვრის თთვეში ამ ვაჟბატონებმა ოც-და ათი გეჯა ფუტკარი დაუნელეს.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველ სოფლის საზოგადოებაში 12 კაცია ამორჩეული სოფლისაგან, ეითომ-და ქურდების საძებნელად. შეიძლება მკითხოთ: მაშ თუ აგრეა, რას აკეთებს ის 12 კაცი, როდესაც იმათ სოფელში ამდენი ქურდობა და ავ-კაცობა ხდებაო? ისინი ძალიან ფხიზლად არიან, კიდეც აღმოაჩინეს აეი კაცები (და ვინ არ აღმოაჩენს იმთ, როდესაც ბაშმაც-კი იცის იმათი სახელი!) და შეაწერეს იმათ იმ წლის ყველა დანაკარგის საშუალო საფასური, როშელიც 400 მ. აღემატებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმათ გადახდევინების ნება არა აქვსთ მიცემული მთავრობისაგან, ეს მამასახლისის ზოგალეოდაა.

სოფლელი

უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. აი რასა სწერენ კიდეე გაზეთები პრინც რუდოლფისა და ბარონესა მარი ვეჩერას სიკვდილზე: მარი ვეჩერა 19 წლისა იყო. შაეგვრემანი და ლამაზი. მარისა და რუდოლფს ერთმანეთი ძრიელ უყვარდათ. საზღვარ-გარეთ, მაგალითად ლონდონში, ხშირად შეიყრებოდნენ ხოლმე ერთად. პრინცს იმიტომ უნდოდა განქორწინებოდა თავისს მეუღლეს, რომ პრინცესა სტეფანია ავადმყოფია და იმისაგან მემკვიდრე არ ეყოლებოდა. იმპერატორი წინააღმდეგი იყო ამისი. პრინცმა მიჰმართა მერე პაპს და ეს ამბავი შეიტყო ბოლოს გრაფმა კალნოკიმ, ავსტრიის მთავარ-მინისტრმა.

ვიდრე პრინცი სანადიროდ წავიდოდა, იცოდნენ, როგორც ატარებდა დროს რუდოლფი. არაფერი ანგარიში არ ეტყობოდა რა. მხოლოდ, როცა ქაღალდები მიუტანეს ხელის-მოსაწერად, ესა სთქვა: უჰ, რა ბეერიაო. ღილით ადრე ჩაიცვა სანადიროო ტანისამოსი და წავიდა მეირლინგს, საცა დახვდა გრაფი გოიოშა და პრინცი კობურგისა.

მეორე დღეს, სამშაბათს, პრინცი ბრატფიშის დახურულ ეტლით ბრეიტენფფურტს წავიდა; ბრეიტენფფურტი ტყეშია და იქ უცდიდა პრინცს ბარონესა მარი ვეჩერა. რამდენსაც ხანს ისეირნეს მიჯნურებმა ეტლით და მერე კარგა დიდს მანძილზე მოშორდნენ ციხე-დარბაზს. ბოლოს ეტლი გაჩერდა ერთის სასტუმროს წინ. ცხენები დაღლილიყვნენ და მეირლინგის გზაზე-კი აღმართები ჰქონდათ ასასვლელი.

ვიდრე პრინცი და ბარონესა ისაუბნდენენ, ბრატფიშმა სხვა ცხენებიც იშოვა და ოთხის ცხენით აეიდა ეტლი აღმართზე. მეიერლინგს გეიან დაბრუნდნენ. დასხდნენ სიდილად და მიიწვეიე გრაფი გოიოშიც. პრინცი კობურგისა-კი ენაში წასულიყო.

საღილმა მხიარულად ჩაიარა. მოჯნურნი შეეიდნენ დასაძინებელს ოთახში. იმ ღამეს არაეითარი ხმაურობა არა ყოფილა-რა. მხოლოდ ღილის 6 საათზე პირისფარეშმა გოშეკმა გიგონა ლაპარაკი და მერე ორჯელ ზეღიზედ გასროლის რეეოლეერის ხმა. გოშეკს შეშინებია და ადგილიდამ ეველარ დაძრულა.

ბოლოს, როგორც იყო, მოეიდა თურმე გონს და დაუძახა გრაფ გოიოშსა და პრინცს კობურგისას.

შეეიდნენ და ჰნახეს, რომ ორი ადამიანის გვამი სძეეს ლოგინზე. მარი ვეჩერას გვამზე რამდენიმე ყეაეილი იდო. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ პრინცს შემდეგ მოუკლაეს თავი, მაგრამ არის იმისი ნიშანიცა, რომ მარი ვეჩერას თავად არ მოუკლაეს თავი. ჭრილობა ზურგზედ აქვს მარი ვეჩერას.

ამ გარემოებას ორ-ნაირადა ხსნიან: ან პრინცმა უთხრა უთუოდ, მინდა თავი მოეიკლაო და ბარონესას შეეშინდა, გადმოხტა საწოლიდამ, უნდოდა დაეძახნა ხალხისთვის, მაგრამ ამ დროს პრინცმა ესროლა დამბაჩა და მოჰკლა. ან იქნება ასე იყო: პრინცმა და მარიმ გადასწყეიტეს ერთად სიკვდილი, ხოლო როაც დრო მოეიდა, ბარონესას შეეშინდა, წამოხტა გასაქცეად და ამ დროს რუდოლფმა ესროლა დამბაჩაო.

რად უნდა ჩაეიდინა ასეთი საქმე რუდოლფსაო? კითხულობენ და პასუხად იმას ამბობენ, რომ პრინცი ან უეცრიე შეიშალა ჭკუაზე, ან არადა, სასოწარკეეთილებამ შეიპყრო და იმედ-დაკარგულმა გადასწეიტა მოესპო თაეისია და თაეისის საყვარელის სიცოცხლეცაო.

◆◆

ლეუდეიგი, ფრიდრიხი და რუდოლფი.

ამ თანამედროვე ისტორიაში სამი ადგილი დარჩება სამუდამო სახსოვრად: შუენბერგის ტბა ბავარიაში, აგარაკი სან-რემო იტალიაში და ციხე-დარბაზი მეიერლინგი ვენის ახლო.

ბავარიის მეფე დაიდეუმა წყლისაგან, ფრიდრიხ მეფე (გაციებით)—ჭეერისაგან, რუდოლფი—ცეცხლისაგან.

პირველი იყო კაცთ-მოძულე, მეორე—იდეალისტი, მესამე—დიდერემლის ხასიათისა.

პირველი დედაკაცს უფრთხოდა, მეორეს დედაკაცი ანგელოზად მიაჩნდა, მესამეს—დედაკაცადვე.

პირველს სძულდა დედაკაცი, მეორეს—უყვარდა, მესამეს გიჟტაცებდა ხოლმე დედაკაცი.

ლეუდეგი ბოეტი იყო, ფრიდრიხი—ფილოსოფოსი, რუდოლფი—სეეტეკი.

პირველს უყვარდა მუსიკა, მეორეს—ხელოვნება, მესამეს—მეცნიერება.

პირველი ხალხს გაეეცდა, მეორე ხალხისაგან იტანჯებოდა, მესამე ხალხისაგან დაიღუპა.

პირველისთვის ცხოვრება იდილია იყო, მეორისთვის—დრამა, მესამესთვის—ტრაგედია.

ლეუდეგი დაირჩო თავისს ეშმაკან ერთად, ფრიდრიხმა სხეული განუოქვა თავისს ეშმისს, რუდოლფმა დაამტკიცეინა ეშმეშეს, რომ ზრილობა თოფისა შეიძლება წეეფის დაცემას მოჰყეესო.

ლეუდეგიმ კუბოს უკან ცხენი მისდევდა, ფრიდრიხის კუბოს უკან—ოდენი, რუდოლფის კუბოს—კაპუცინები.

პირველის სიკვდილს შემდეგ დარჩა ლეკესები და ნოტები, მეორეს შემდეგ—სასტორია მატიანენი, მესამეს შემდეგ—ხუთი საიდუმლო წერილი (სიმეცნიერო და სალიტერატურო თხზულებანი გარდა).

პირველი თავისთვის და თავისთან სცხოვრებდა, მეორე—სხველიშეფოსთან, მესამე—ეულელსეს უკან.

პირველი გარეგნივ აუგვეეულს ნიბელუნგსა ჰგავდა, მეორე—მამაცს გერმანიკს, მესამე—ტანდელს ჰამლეტს.

ლეუდეგი დუბოლოვეეელ წინადადებანი ჭლაპარაკობდა, ფრიდრიხი—მშეეერად, რუდოლფი—ზხამინად.

პირველი უეცრივ და უცბადედ დაიღუბა, მეორე—ნელ-ნელად, თავისდა უნეურად, მესამე სრულს გონებაზედ იყო, როცა თავს იკლავდა.

პირველმა არა მოგვცა-რა, მეორეს არ შეეძლო იმისი მოცემა, რის მოცემაც შეეძლო, მესამემ თავი თეისი მოგვცა.

ლეუდეგიის სიკვდილმა ლეგენდები შეჰქმნა, ფრიდრიხისამ—პოლიტიკას გზა-კვალი შეუშალა, რუდოლფისამ—ეშეი და მითქმა-მოთქმა დაჰბადა.

პირველის გარდაცვალეეის ამბავს ცნობის-მოყვარეობითა კითხულობდნენ, მეორისას—თანაგრძნობით, მესამისას—გაოცეით.

ამ სამსავე შემთხვევაში-კი ერთი და იგეეე გულის დამწეეეტი სიმი ჰკეეერდა.

◆◆

დეპეშა

4 თებერვალი

ლონდონი. აქაური მწერლობა ძალიან ნაკლებად აქცეეს ყურადღებას იმ ამბავს, რომელიც აეელინატანნიდგან მოდის, გაზეთი „Standart“-ის აზრით, საფიქრებელი არ არის რუსეთმა ან აეელინატანმა ერთმანეთს უსაამოვნება მიაყენოს; ამისდა მიუხედაეად საჭიროა ყურადღება ათხოეონ რუსეთისა და აეელინატანის საზღვარს, რომელიც შესაფერად გამაგრებული არ არის. ინგლისი მზად უნდა იყოს ყოველ გვარ შემთხვეეისათეისო.

პეშტი. აქ ხელ-ახლად მოხდა უწეწოება. ამ უწესოებაში მონაწილეობას იღებს ზოგი დეპუტატი. ქუჩებში ჯარი სდგას.

პარიჟი. პრეზიდენტს ძალიან გაუჭირდა სამინისტროს შედგენა; ამბობენ, რომ ეხლა შესაძლოა ისეთის სამინისტროს შედგენა, რომელიც პალატას დაითხოვს. თეით პალატა დაღუსულად მიაჩნით. ამბობენ, რომ სამინისტროში მონაწილეობას მიიღებენ: მელინი, ეალდეკი, კრუსო, ფლუტანსი, სე-რუეე, ბარდუ, სოსიე და რიკარი. რადიკალთა გაზეთები ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც ფლოკე გადააყენეს ოპორტიუნიტებმა, ყოველად შეუძლებელია რესპუბლიკელების თაეის მოყრა. კონსერვატორებისა და ბულანჟეს მომხრე გაზეთები ამბობენ, რომ ეხლა პალატის დათხოვნა აუცილებელია, რადგანაც ამ ჟამად პალატა არაფერს არა ჰნიშნავსო.

კეშტი. გუშინდელი უწესოება წინანდელზე უფრო ძლიერი იყო; აქაიქ ცარცვა-გლეჯა იყო და შეტაკებაც მოხდა. რამდენიმე კაცი დაჭრილია. დღეს სასამართლომ ოცს კაცს ცარცვა-გლეჯისათეის დაუნიშნა ადმწყეფდეეა 2 თთვიდგან ერთ წელიწად ნახევრამდე. მთავრობამ განიზრახა სასტიკი ზომები იხმაროს უწესოების წინააღმდეგ და იმუქრება, რომ იმპერატორი ისევ ენაში წავა, თუ რომ უწესოება არ მოისპოო.

ლონდონი. გაზეთი „Times“-ი ამბობს, რომ ის აყალმაყალი, რომელიც გამოიწვია აეღელინატანიდგან მოსულმა ამბაამა, მოისპობაო, რაკი დამტკიცდება, რომ აბდურახმანს მხოლოდ ის განზრახვა აქეს, რომ აეღელნის თურქისტანი დაიმორჩილოსო.

კალკუტა. განზრახეა არის აბდურახმან-ხანს გაუგზავნონ ელჩები; უფროსი ელჩი დურანი იქნება.

პეტერბურგის ბირჟა: საადგილ-მამულო ბანკების გირაენობის ფურცლებში: იძლეეიან ტფილისისაში—97,75, ქუთაისისაში—97,50, ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ობლიგაციებში—83.

პეტერბურგის ბირეა, 3 თებერ.

	ფასი.	ფასი.	ფასი.
	ბეზოდგვანი.	ბეზოდგვანი.	ბეზოდგვანი.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	7 47
ტამოჟნის გუშინები . .	— „	— „	150
მანეთიანი ვერცხლის ფული	— „	— „	1 13
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	269
—მეორისა	— „	— „	251¼
გირაენობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— „	— „	— „

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩვენ (1889) წელიწა